

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით -ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 2015 წელში გაწეული საქმიანობის ანგარიში

ანგარიშის საერთო სტრუქტურის გათვალისწინებით, თავდაპირველად გაგაცნობთ მოკლე სტატისტიკურ ინფორმაციას. საანგარიშო პერიოდში კომისიის 25 და მათ შორის 2 ერთობლივი სხდომა ჩატარდა. ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა 40 შეადგენს. როგორც მოგეხსენებათ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 13 აგვისტოს N18 განკარგულებით დამტკიცებულია კომისიის 20 კაციანი შემადგენლობა და ერთგვაროვან ფუნქციათა დაჯგუფების მიხედვით შექმნილია სამი სამუშაო ჯგუფი: სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფი (ჯგუფის ხელმძღვანელი ნუგზარ ურუშაძე), ინფრასტრუქტურის სამუშაო ჯგუფი (ხელმძღვანელი დავით სიხარულიძე) და საინფორმაციო სისტემის განვითარების საკითხთა სამუშაო ჯგუფი (ხელმძღვანელი ვახტანგ ნიჟარაძე).

არ შემოვიფარგლები მხოლოდ მშრალი ციფრებითა და სტატისტიკური მონაცემებით და შევეცდები შესრულებულ სამუშაოსთან ერთად, შეუსრულებელ ვალდებულებებზე, მათ გამომწვევ მიზეზებზე და რატქმაუნდა სამომავლო გეგმებზე ვისაუბრო. სწორედ ამას ითვალისწინებს კანონი, რომელიც მიიუთითებს, როგორც საკრებულოს თანამდებობის პირების, ისე საკრებულოს წევრის მიერ ანგარიშის მომზადებისა და წარდგენის ვალდებულებას. აქედან გამომდინარე საკრებულოს თანამდებობის პირის ანგარიში წარმოადგენს შესაბამისი რგოლის მუშაობის და არა უშუალოდ კომისიის თავმჯდომარის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

2015 წლის თებერვალში დამტკიცდა სივრცით -ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სამუშაო გეგმა, რომელიც თანხვედრილია რეგლამენტით განსაზღვრული თვითმართველი ერთულის ტერიტორიის დაგეგმარების სფეროში საკრებულოს მიკუთვნებულ უფლებამოსილებებთან.

კომისია, როგორც კოლეგიალური ორგანო, მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს სხდომაზე კომისიის წევრთა აქტიურობითა და მათი ჩართულობით განიხილავს. რიგ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, კომისია კონსენსუსს აღწევს, რაც აისახება კიდევ დასკვნებში. ვფიქრობ, რომ აუცილებელია კომისიის წევრთა კიდევ უფრო გააქტიურობა, მათი ჩართულობა. განსაკუთრებით საყურადღებოა, ისიც, რომ ჯერ ვერ ამოქმედდა სრული დატვირთვით სამუშაო ჯგუფები. ნაკლებია ინიციატივები, ჯეროვნად ვერ ხორციელდება კონტროლი აღმასრულებელი ორგანოს სამსახურების საქმიანობასა და საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, თუმცა უნდა ითქვას, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში კომისიამ ყველა იმ სამსახურისა, თუ ა.(ა)ი.პ -ების ანგარიშები მოისმინა, რომელთა საქმიანობის სფეროც ჩვენს კომისიის უფლებამოსილებაში შედის.

განსაკუთრებით აღვნიშნავ კომისიის მიერ 2016 წლის ბიუჯეტის მიღების პროცესს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გაითვალისწინა კომისიის შენიშვნები და ინიციატივები, რაც აისახა საბოლოოდ ბიუჯეტში. აქვე დავძენ, რომ კომისია აბსოლუტურად იზიარებს და ეთანხმება ბიუჯეტის პროგრამულ ფორმატით წარმოდგენას. პროგრამული ბიუჯეტი გაადვილებს, უფრო გასაგებს და შედეგებზე ორიენტირებულს

გახდის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ყველა და მათ შორის ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

კომისიამ განსაკუთრებული მუშაობა აწარმოა მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შემუშავების მიზნით. არ დარჩენილა მუნიციპალიტეტის არც ერთი ადმინისტრაციული ერთეული, სადაც კომისია მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურთან ერთად არ წასულიყო ადგილზე, მოსახლეობასთან ერთად არ შეჯერებულიყო განსახორციელებელი პროექტი; ერთობლივი მუშაობის შედეგად განისაზღვრა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურულ სამუშაოების მრავალწლიანი პერსპექტიული გეგმა-პროექტიც, სადაც კონკრეტულადაა გაწერილი თითოეული ადმინისტრაციულ ერთეულში უახლოეს მომავალში აუცილებლად მოსაგვარებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოები: ესაა გზების, ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების, ნაპირსამაგრი სამუშაოების (გაბიონების) მოწყობა და სხვა.

კომისიას შემუშავებული აქვს წინადადებები, ასევე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, სამგზავრო გადაზიდვების უკეთ რეგულირების, გეოგრაფიული ობიექტებისა და ისტორიული უბნების სახელების და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

კომისია აქტიურად თანამშრომლობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურთან, როგორც სოფლის მხარდამჭერი პროგრამით ისე რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან შესასრულებელ პროექტებზე.

ცალკე აღვნიშნავ ურეკი-შეკვეთილის განაშენიანების გეგმის შემუშავების პროცესს, რომელიც ჩვენი კომისიის აქტიური მონაწილეობით, წინადადებებით, შენიშვნებითა და რეკომენდაციების თანხლებით მიმდინარეობდა.

მისასალმებელია ინიციატივა, რომლის თანახმადაც საკრებულოს კომისიები დადგენილი გრაფიკით ყოველთვიურად ახარებენ ანგარიშს. ეს ანგარიშები გამოქვეყნებულია საჯაროდ და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია თანამშრომლობა ნებისმიერ საკითხზე.

ფაქტობრივად 2015 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ყველა საკითხი კომისიის მსჯელობის საგანი გახლდათ. თუმცა საჭიროა უფრო ღრმად შესწავლა განსახილველი პროექტების, შესაძლებელია ექსპერტების მოწვევაც. უნდა ამოქმედდეს კომისიის საკონსულტაციო საბჭო, რომელიც დაგვეხმარება მუშაობაში.

იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი თვითმართველობის უპირველესი მოვალეობა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და ეს საკითხები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით -ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს, ცხადი ხდება რამდენად მნიშვნელოვანია კომისიის აქტიური, ხარისხიან შედეგზე გათვლილი მუშაობა. ისიც საგულისხმოა, რომ საკრებულო კონტროლს კომისიების საშუალებით ახორციელებს და ამიტომ ჩვენი სამომავლო ხედვებიც ამ მიმართულების დანერგვაზე იქნება ორიენტირებული.

კომისიის თავმჯდომარე:

ტ.აროშიძე